



სსიპ ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო აცხადებენ ბაზრის კვლევას საქართველოს 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საპატიო სტუმარი ქვეყნის პავილიონის და ეროვნული სტენდის კონცეფციის შესარჩევად

ზოგადი ინფორმაცია

1. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა (Frankfurter Buchmesse) ყველაზე პრესტიჟული და დიდი საერთაშორისო ღონისძიებაა ლიტერატურულ და საგამომცემლო სფეროში. ყოველწლიურად ბაზრობა 300 000-მდე ვიზიტორს მასპინძლობს და 400 000-მდე წიგნს გამოფენს. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას 500 წლიანი ისტორია აქვს და ოქტომბრის შუა რიცხვებში ფრანკფურტის საგამოფენო სივრცეში ტარდება. ღონისძიებას პირველი სამი დღის განმავლობაში მხოლოდ საქმიანი ვიზიტორები სტუმრობენ, ხოლო ბოლო ორი დღე ბაზრობა ღიაა ფართო საზოგადოებისთვის. ბაზრობის მიმდინარეობის 5 დღის განმავლობაში, სადაც 100-მდე ქვეყნის 7000-ზე მეტ მონაწილეს ეძლევა საშუალება შეხვდნენ თავიანთ საერთაშორისო პარტნიორებს, დაამყარონ და განავითარონ საქმიანი ურთიერთობები. ყოველწლიურად ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა დაახლოებით 9000-მდე საერთაშორისო აკრედიტებული ჟურნალისტის მიერ შუქდება. 1976 წლიდან ფრანკფურტის წიგნის ბაზრობამ საპატიო სტუმარი ქვეყნის პროგრამას ჩაუყარა საფუძველი. ყოველ წელს სხვადასხვა ქვეყანას ეძლევა საშუალება საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსის ფარგლებში ფართო საერთაშორისო საზოგადოებას წარუდგინოს მისი კულტურული მემკვიდრეობა - წარსული, აწმყო და მომავალი.

2018 წელს (9-14 ოქტომბერი) ეს პატივი საქართველოსაც მიენიჭება. შესაბამისად, შემოქმედებით გუნდებს განსაკუთრებული შესაძლებლობა ეძლევათ საპატიო სტუმარი ქვეყნის პავილიონის საშუალებით შექმნან და შეიმუშავონ ის ხედვა და პლატფორმა, რომელიც საქართველოს საშუალებას მისცემს თავისი კულტურული მემკვიდრეობა და გამოცდილება მრავალფეროვნად და საინტერესოდ წარმოაჩინოს. **საპატიო სტუმარი ქვეყნის პავილიონი** (არაუმეტეს 2500კვ.მ.) განლაგებულია ფრანკფურტის ბაზრობის ცენტრში, მთავარი ფორუმის შენობის მესამე სართულზე და ბაზრობის ცენტრალურ მოედანს გადაჰყურებს. აქ, 6 დღის განმავლობაში, საქართველოს საშუალება მიეცემა წარმოადგინოს ლიტერატურული ღონისძიებები, მუსიკალური და სხვა სახის საშემსრულებლო წარმოდგენები. შესაბამისად, პავილიონი საქართველოს, როგორც საპატიო სტუმარი ქვეყნის, ვიზუალური და ემოციური სახე იქნება. **ეროვნული სტენდი** საგამომცემლო სფეროსთან დაკავშირებული საქმიანი ურთიერთობების მთავარი სივრცეა, რომელიც მდებარეობს საპატიო სტუმარი ქვეყნის პავილიონის გვერდით საგამოფენო ჰოლში, ბაზრობის მონაწილე სხვა ქვეყნების ეროვნულ სტენდებთან ერთად. სტენდის და პავილიონის დიზაინი ერთიანი კონცეფციით, არსით და დეტალებით ერთ მთლიანობად უნდა აღიქმებოდეს.

2. გამოწვევა

საპატიო სტუმარი ქვეყნის კონცეფციის და სლოგანის (Georgia Made by Characters/ანბანით მოთხრობილი საქართველო) და პავილიონის ტექნიკური მონაცემების გათვალისწინებით, კომპანია შემოქმედებითად უნდა მიუდგეს **პავილიონის კონცეფციის იდეის განვითარებას** და სსიპ ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის კონტრაქტორ კომპანიასთან “მულტივერს არქიტექტურა” მჭიდრო თანამშრომლობით უზრუნველყოს

საქართველოს პავილიონის პროექტის მომზადება (იხ. „საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის ბრენდის კონცეფცია და ლოგო“)

http://bit.ly/ბრენდის_კონცეფცია_და_ლოგო

საბოლოო პროექტი შემდეგ გამოწვევებს უნდა პასუხობდეს:

- როგორ ასახავს პავილიონი საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას და მის მრავალფეროვნებას?
- როგორ ასახავს პავილიონი საქართველოს იდენტობას და მის ხასიათს?
- როგორ შეძლებს პავილიონის კონცეფცია აუდიტორიის ფორმირებას და განვითარებას?
- როგორ შეძლებს პავილიონი მიიზიდოს საერთაშორისო აუდიტორია და აზიაროს საქართველოს კულტურულ, მათ შორის ლიტერატურულ მემკვიდრეობას?
- როგორ შეძლებს პავილიონი საქართველოს მდიდარი წარსულისა და მომავლის თანამედროვე ხედვის კონტექსტში აჩვენოს ქვეყნის მომავალი პოზიციონირება ?

2 500 კვ.მ.-მდე საპატიო სტუმარი ქვეყნის პავილიონთან ერთად კონტრაქტორს მოეთხოვება წარმოადგინოს შედარებით მცირე, 180 კვ.მ. **ეროვნული სტენდის ინტეგრირებული კონცეფცია**. ეროვნული სტენდი პავილიონის კონცეფციის ერთგვარი გაგრძელება უნდა იყოს. სტენდი სხვა ქვეყნების ეროვნულ სტენდებთან ერთად 5.0 დარბაზშია განლაგებული. მაშინ, როცა საპატიო სტუმარი ქვეყნის პავილიონი ქართულ კულტურასთან დაკავშირებული პროგრამების და ღონისძიებების ფართო სპექტრს მასპინძლობს, ეროვნული სტენდი ქართული საგამომცემლო ბაზრის მთავარი პლატფორმა და ბაზრობის მონაწილე გამომცემლების, ლიტ. აგენტების, მთარგმნელების და ავტორების შეხვედრების მთავარი სივრცე იქნება. ამასთან ერთად, ეროვნულ სტენდზე გამოფენილი იქნება 1000-მდე წიგნი. ეროვნულ სტენდზე გაიმართება საქმიანი შეხვედრები, ლიტერატურული კითხვები და სხვა მსგავსი ღონისძიებები.

3. ტექნიკური მონაცემები

საპატიო სტუმარი ქვეყნის პავილიონი

საპატიო სტუმარი ქვეყნის პავილიონს ვიზიტორები სტუმრობენ, როგორც პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე დასწრების, ასევე, ზოგადად, დათვალიერების მიზნით. პავილიონი ბაზრობის ცენტრში მდებარე სოციალური სივრცეა, სადაც ყოველ ღონისძიებას 60-100 სტუმარი ესწრება (300-მდე სტუმარი გახსნის ცერემონიალის დროს). ბაზრობის მიმდინარეობისას, 5 დღის განმავლობაში, პავილიონის ვიზიტორთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 50 000 – 70 000 ადამიანს აღწევს. შესაბამისად, ეს გახლავთ უნიკალური შესაძლებლობა ფართო, საერთაშორისო აუდიტორიისთვის საქართველოს მდიდარი კულტურული, მათ შორის ლიტერატურული, მემკვიდრეობის წარდგენისთვის. პავილიონის ვიზიტორები საერთაშორისო აუდიტორიას წარმოადგენენ, თუმცა უმეტესობა მათგანი გერმანულენოვანია. შაბათ-კვირას აუდიტორიის 90% გერმანულენოვანი ვიზიტორები არიან. გამოფენა „წიგნები საქართველოზე“ (Books on... exhibition) პავილიონის განუყოფელი ნაწილია, სადაც 800-1000-მდე წიგნი იქნება გამოფენილი. ქვემოთ წარმოდგენილია ის სივრცეები, რომლებიც, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის მოთხოვნით, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული პავილიონის კონცეფციის შექმნისას (არაუმეტეს 2500კვ.მ.):

- მთავარი სცენა (5-20 შემსრულებელი; 100-120 დასაჯდომი ადგილი მაყურებლებისთვის)*;
- საგამოფენო და საკითხავი სივრცე (1000-მდე საგამოფენო წიგნი; საკითხავი სივრცე ვიზიტორებისთვის);
- კაფე;
- საინფორმაციო კუთხე ფოიეში.

გარდა ამისა, პავილიონში უნდა შეიქმნას დამატებითი ფუნქციის მატარებელი კომპონენტები/სივრცეები/ელემენტები, რომლებიც განკუთვნილი იქნება ვიზიტორების ინტეგრირებისთვის პავილიონში დაგეგმილ შესაბამის ღონისძიებებში (მაგ. ინსტალაციები, მულტიმედიური გამოფენები და სხვ.).

პავლიონმა მთავარ სცენაზე უნდა უმასპინძლოს 5-20 მონაწილისგან შემდგარ სხვადასხვა ღონისძიებას (ლიტერატურული კითხვები, პერფორმანსები და სხვ). ამ სივრცეში გასათვალისწინებელია 100-120 დასაჯდომი ადგილი მაცურებლისთვის.

გარდა ამისა, პავლიონში გამოიფინება დაახლოებით 800-1000 წიგნი. შესაბამისად, კონცეფცია უნდა ითვალისწინებდეს როგორც საგამოფენო, ასევე სამკითხველო სივრცეს.

პავლიონის კონცეფციაში უნდა იყოს გათვალისწინებული დამატებით მომზადებული კომპონენტების/ელემენტების (ვიდეო, აუდიო და ა.შ.) ინტეგრირების შესაძლებლობა ფართო, მულტი-მედია სქემაში. ყველა სივრცე უნდა იძლეოდეს სტუმრების მიღების შესაძლებლობას, როგორც დაგეგმილი ღონისძიებების მიმდინარეობისას, აგრეთვე პროგრამით გათვალისწინებულ თავისუფალ დროს.

პავლიონის მშენებლობისთვის გამოყოფილია არაუმეტეს 9 დღისა, შესაბამისად, პროექტის ჩაბარების და წინასწარ მშენებლობის დაგეგმვას (მოდულირება, მასალის მოძიება და ა.შ.) დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს. ამ მოთხოვნების მოქნილ და ინოვაციურ ინტეგრირებას საპატიო სტუმარი ქვეყნის პავლიონის დიზაინის პროექტის მომზადებისას მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცევა.

პავლიონის აწყობა (მშენებლობა) შესაძლებელი უნდა იყოს 9 დღის განმავლობაში ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის გახსნამდე.

***შენიშვნა:** მთავარი სცენის ტექნიკური უზრუნველყოფა: განათება, გახმოვნება, მიკროფონები, ყურსასმენები, პროექტორი, ეკრანი, სინქრონული თარგმანის კაბინა და შესაბამისი ტექნიკა, მაგიდა, სავარძლები, სკამები და სხვ. (ვიზიტორებისთვის შესასვლელი და გამოსასვლელი უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი).

ეროვნული სტენდი

საქართველოს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე წარდგენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი - ეროვნული სტენდი - საპატიო სტუმარი ქვეყნის პავლიონის კონცეფციის ერთგვარ გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ კონსტრუქცია უნდა იყოს მოდულარული და შესაძლებელი იყოს მისი 70-80 კვ.მ. სტენდად გადაწყობა. ქვემოთ წარმოდგენილია ის სივრცეები, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული ეროვნული სტენდის დიზაინის შექმნისას (180 კვ.მ):

- წიგნების მთავარი საგამოფენო სივრცე (დაახლოებით 1000 წიგნისთვის);
- ღონისძიებების სივრცე (2-4 მონაწილე; დაახლოებით 20-30 დასაჯდომი ადგილი სტუმრებისთვის);
- გამოფენის მონაწილეების საქმიანი შეხვედრების ინდივიდუალური სივრცე;
- საკუჭნაო (დაახლოებით 20-25 კვ.მ.).

სტენდის აწყობა შესაძლებელი უნდა იყოს 3 დღის განმავლობაში ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის გახსნამდე.

პავლიონის და ეროვნული სტენდის მშენებლობის წინასწარი ბიუჯეტი არ აღემატება **700 000 ევროს** გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით. კონსტრუქტორი კომპანიის შერჩევის პროცედურებს წარმართავს ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო. კონსტრუქციის მომსახურება დარეგულირდება დამოუკიდებელი კონტრაქტის პირობებით**.

****შენიშვნა:** საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის პავლიონის და ეროვნული სტენდის მშენებლობა ხორციელდება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

4. პავილიონის და ეროვნული სტენდის მომზადების ვადები

- პავილიონის და ეროვნული სტენდის დეტალური კონცეფცია - არაუგვიანეს 2018 წლის მარტის შუა რიცხვები;
- პროექტის არქიტექტურული განვითარება - არაუგვიანეს 2018 წლის აპრილის შუა რიცხვებისა;
- დეტალური არქიტექტურული პროექტი და კონსტრუქციის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - არაუგვიანეს 2018 წლის მაისის ბოლო;
- კონსტრუქტორი კომპანიის შერჩევა - არაუგვიანეს 2018 წლის ივნისის ბოლო;
- კონსტრუქციის მშენებლობა - 2018 წლის 30 სექტემბერი - 8 ოქტომბერი.

5. დამატებითი საჭირო დოკუმენტაცია***

- სტუმარი ქვეყნის კონცეფცია და ანიმაცია
<http://www.georgia-characters.com/Concept.aspx>
- სტუმარი ქვეყნის ვებგვერდი
<http://www.georgia-characters.com/>
- პავილიონის ღონისძიებების ბრიფი
http://bit.ly/პავილიონის_ღონისძიებების_ბრიფი
- ეროვნული სტენდის ბრიფი
http://bit.ly/ეროვნული_სტენდის_ბრიფი
- პავილიონის მომზადების ვადების გეგმა
http://bit.ly/პავილიონის_მომზადების_ვადების_გეგმა
- ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მონაწილეობის დადგენილებები და პირობები:
https://book-fair.com/pdf/terms_and_conditions_2018.pdf
- ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მონაწილეობის დადგენილებები და პირობები - ტექნიკური რეგულაციები:
https://book-fair.com/images/fbm/dokumente-ua-pdfs/2017/technische_vorschriften_engl_2017_61850.pdf
- ინფორმაცია მთავარი ფორუმის შენობაზე:
https://congressfrankfurt.messefrankfurt.com/content/congressfrankfurt/frankfurt/en/veranstalter/infomaterial/forum/jcr_content/mainParsys/downloadbox_0/downloadboxParsys/download/file.res/Brochure_Forum_dated+2017.07.pdf
- ფორუმის შენობაში მშენებლობის და დემონტაჟის ინსტრუქციები:
https://congressfrankfurt.messefrankfurt.com/content/congressfrankfurt/frankfurt/en/veranstalter/infomaterial/forum/jcr_content/mainParsys/downloadbox/downloadboxParsys/download_7/file.res/Instructions_for_setup.Forum.pdf
- მთავარი ფორუმის შენობის გეგმარი:
http://bit.ly/მთავარი_შენობის_გეგმარი
- ბაზრობის სივრცის და მთავარი ფორუმის შენობის ფოტოები:
http://bit.ly/ბაზრობის_სივრცის_და_მთავარი_ფორუმის_შენობის_ფოტოები
- საპატიო სტუმარი ქვეყნების პავილიონები:
http://bit.ly/საპატიო_სტუმარი_ქვეყნების_პავილიონები
- საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის ბრენდის კონცეფცია და ლოგო:
http://bit.ly/ბრენდის_კონცეფცია_და_ლოგო

***შენიშვნა: აღნიშნული ბმულების ნაწილი წარმოადგენს ფრანკფურტის ბაზრობის და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ოფიციალურ ინფორმაციას, რომელიც ეტაპობრივად განახლებადია და შესაბამისად, მიზანშეწონილია აღნიშნული ინფორმაცია სრულყოფილად მიიღოს მითითებულ ვებგვერდებზე.

საპატიო სტუმარი ქვეყნის პავილიონის და ეროვნული სტენდის კონცეფცია და არქიტექტურული პროექტი

ბაზრის კვლევაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ კომპანიებს, რომლებსაც გააჩნიათ ანალოგიური პროექტების განხორციელების გამოცდილება, ჰყავთ ან შეუძლიათ შეკრიბონ მულტიდისციპლინარული შემოქმედებითი გუნდები და ტექნიკური შემსრულებლები (გარდა არქიტექტორებისა). გააჩნიათ შემჭიდროვებულ ვადებში პროექტის მართვის გამოცდილება და შესაბამისი კვალიფიკაცია.

1. ტექნიკური დავალება

კანდიდატების მიერ წარმოდგენილი პროექტი უნდა ეფუძნებოდეს საპატიო სტუმარი ქვეყნის ძირითად კონცეფციას და სლოგანს “Georgia Made by Characters“. არსებული სლოგანის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია არის შესაძლებელი: Character – არის როგორც ასონიშანი, ასევე ქართული ხასიათი/ტემპერამენტი/ნიშანხატი და ა.შ. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის მრავალწლიანი გამოცდილებით ყველაზე წარმატებული საპატიო სტუმარი ქვეყნების პავილიონები იყო სწორედ ისეთი კონცეფციით შექმნილი, რომლებშიც სრულად იყო ინტეგრირებული ქვეყნის ძირითადი/გენერალური კონცეფცია. შესაბამისად, ვიზიტორებს ერთიანი სურათი ექმნებოდათ საპატიო სტუმარი ქვეყნის მთავარ გზავნილთან დაკავშირებით (ქვეყნის კონცეფცია/სლოგანი/ანიმაცია/პავილიონი/ეროვნული სტენდი).

პავილიონის კონცეფციაზე მუშაობისას, გთხოვთ, გაითვალისწინოთ:

- პავილიონის კონცეფცია უნდა წარმოადგენდეს ერთ შეკრული იდეას, რომელიც ერთი გენერალური ხაზის გარშემო განვითარდება.
- პავილიონის კონცეფციის მიზანია, ვაჩვენოთ საქართველო საერთაშორისო აუდიტორიას და ვაგრძნობინოთ მათ თავი საქართველოში.
- პავილიონის კონცეფცია უნდა ეფუძნებოდეს ქვეყნის იდენტობას და, ამავე დროს, თავისუფალი უნდა იყოს ჩამოყალიბებული / არსებული კლიშეებისა და სტერეოტიპებისგან.
- პავილიონის იდეაზე მუშაობისას, პროექტის ოფიციალური კონცეფცია – Georgia Made by Characters უნდა ინტერპრეტირდეს და ითარგმნოს ვიზუალურად და სივრცობრივად, მით უფრო, რომ პროექტის სლოგანის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია არის შესაძლებელი: Character – არის როგორც ასონიშანი, ასევე ქართული ხასიათი/ტემპერამენტი/ნიშანხატი და ა.შ.
- აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ კონცეფცია უნდა იყოს მინიმალისტურად ვიზუალიზებული გადაჭარბებული პათეტიკის გარეშე.

გამოვლენილი კომპანიის შემდგომი ვალდებულებები:

1.1 პავილიონის და ეროვნული სტენდის კონცეფციის იდეა

საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის პავილიონის და ეროვნული სტენდის იდეა და კონცეფცია ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის კონტრაქტორ კომპანიასთან შპს „მულტივერს არქიტექტურასთან“ ერთობლივი მუშაობის პროცესში უნდა განვითარდეს და მიიღოს დასრულებული სახე.

1.2 პავილიონში ინტეგრირებული კომპონენტები/ელემენტები

კონცეფციიდან გამომდინარე პავილიონში, აუცილებელი სივრცეების გარდა (იხ. ტექნიკური მონაცემები/პარაგრაფი 3), ინტეგრირებული უნდა იყოს ისეთი დამატებითი კომპონენტები/ელემენტები, რომლებიც უზრუნველყოფს ვიზიტორების ინტერაქციას. ყველა სივრცე უნდა იძლეოდეს სტუმრების მიღების შესაძლებლობას, როგორც დაგეგმილი ღონისძიებების მიმდინარეობისას, აგრეთვე პროგრამით გათვალისწინებულ თავისუფალ დროს. სხვადასხვა შინაარსისა და თემატიკის აქტივობები, ინსტალაციები,

მულტიმედიური გამოფენები (შესაბამისი ვიზუალური და აუდიო მატარებლების საშუალებით) ვიზიტორებს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას საქართველოს შესახებ.

კომპანიამ უნდა უზრუნველყოს პავილიონის შესაბამისი კომპონენტების/ზონების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების, ინსტალაციების და სხვა ზემოთ აღნიშნული კომპონენტების შესაბამისი მასალების მომზადება, განხორციელება და სხვა საჭირო სამუშაოების წარმართვა (გარდა არქიტექტურული და სამშენებლო სამუშაოებისა).

1.3 პავილიონის პროგრამა (09:30-19:00 / 9-14 ოქტომბერი, 2018)

ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრთან და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან კონსულტაციებით და შეთანხმებით საპატიო სტუმარი ქვეყნის პავილიონში უნდა ინტეგრირდეს ლიტერატურული და კულტურული პროგრამის ღონისძიებები. შესაბამისად, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს პავილიონის პროგრამის დრამატურგია (იხ. პავილიონის ღონისძიებების ბრიფი, პარაგ. 5).

ავტორების და არტისტების მონაწილეობის, პავილიონის ტექნიკური და დამხმარე პერსონალის ხარჯებს დაფარავს ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში მყოფი სხვა სტრუქტურული ერთეულები.

1.4 ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის გახსნის ცერემონიაზე ქართველი ავტორის სიტყვით გამოსვლის დრამატურგია (17:00-19:00 / 9 ოქტომბერი, 2018)

კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის გახსნის ცერემონიაზე (კონგრეს ცენტრში) მაღალი რანგის სტუმრების მისასალმებელი სიტყვების შემდეგ ქართველი ავტორის სიტყვით გამოსვლის (15 წუთი) სცენარი და დადგმა, რომელიც ასევე უნდა იყოს პროექტის საერთო კონცეფციის ნაწილი.

შენიშვნა: კომპანიამ ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს შპს “მულტივერს არქიტექტურასთან” შეთანხმებული სამუშაო გეგმა, მისი დასაბუთება, პროცესის თანმიმდევრობის ჩვენებით; სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი და დეტალური ბიუჯეტი.

გამომდინარე იქიდან, რომ ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის პავილიონთან და ეროვნულ სტენდთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს შემსყიდველთან ერთად ავასებენ ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობის შესაბამისი უფლებამოსილი პირები და, ამასთან ერთად, პავილიონისა და ეროვნული სტენდის აწყობას (მშენებლობას) განახორციელებს ლიცენზირებული გერმანული კომპანია, პრეტენდენტმა ხელშეკრულების დადების შემდეგ საქართველოს საპატიო სტუმარი ქვეყნის პავილიონთან და ეროვნულ სტენდთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი უნდა წარმოადგინოს ქართულ და ინგლისურ ენებზე

2. საავტორო უფლებები

2.1 საავტორო უფლებას პავილიონის და ეროვნული სტენდის დასრულებულ პროექტზე ფლობს ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი, შპს „მულტივერს არქიტექტურა“ და კანდიდატი.

2.2 პროექტის დასრულებამდე კომპანიას არ აქვს უფლება რამე სახით გამოსცეს ან გაავრცელოს პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია და მასალები.

2.3 პროექტის კონცეფცია უნდა იყოს ორიგინალური ნამუშევარი და არ უნდა იყოს წარდგენილი/გამოყენებული/განხორციელებული წინა წლებში.

3. კომუნიკაცია

კომპანიამ პროექტზე მუშაობის პროცესში მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს:

- წიგნის ეროვნულ ცენტრთან;
- კულტურის და სპორტის სამინისტროსთან;
- წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციასთან (გამომცემლები/ავტორები);
- შპს „მულტუვერს არქიტექტურასთან“;
- გერმანულ კონსტრუქტორ კომპანიასთან.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია, შეფასების წესი და ანგარიშსწორების პირობები

- კანდიდატებმა **2018 წლის 15 თებერვლის 18სთ-მდე** უნდა წარმოადგინონ:
 - ✓ პავილიონის ვიზუალიზაცია ესკიზურ დონეზე ზონირების გარეშე;
 - ✓ პროექტის ზოგადი კონცეფცია წერილობით 3-10 გვერდამდე მოცულობით;
 - ✓ პროექტის განხორციელების ბიუჯეტი;
 - ✓ პროექტზე მომუშავე შემოქმედებითი გუნდის შემადგენლობა, პოზიციები და ფუნქციები;
 - ✓ ძირითადი გუნდის წევრების თანხმობის წერილები და ბიოგრაფიები (ან CV).
- **განაცხადები მიიღება PDF ფორმატში შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@book.gov.ge, 2018 წლის 15 თებერვლის 18:00სთ-მდე.**
- **არასრულად წარმოდგენილი განაცხადები არ განიხილება.**
- წარმოდგენილი პროექტებიდან **2018 წლის 18 თებერვლამდე** კომისია, შერჩევის პირობების შეფასების წესის მიხედვით, გამოავლენს ერთ გამარჯვებულ კომპანიას.
- გამარჯვებულ კომპანიასა და ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმდება ხელშეკრულება.

დამატებითი ინფორმაცია სამუშაო გუნდთან დაკავშირებით:

- პროექტს უნდა ჰყავდეს ერთი კრეატიული დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროექტის შემოქმედებით ნაწილზე;
- კრეატიულ დირექტორს უნდა ჰყავდეს კონსულტანტი/ები შემოქმედებით საკითხებში (სფეროს პროფესიონალები);
- განსაზღვრული უნდა იყოს სამუშაო გუნდის შემადგენლობა, პოზიციები და ფუნქციები.

დამატებით ინფორმაცია ბიუჯეტთან დაკავშირებით:

- პროექტის ბიუჯეტის არ უნდა აღემატებოდეს 500 000 ლარს შესაბამისი გადასახადების ჩათვლით.
- ბიუჯეტი უნდა შედგებოდეს შემდეგი კომპონენტებისგან:
 - ✓ პავილიონის საექსპოზიციო ნაწილის განხორციელება (ფროდაქშენი);
 - ✓ სახელფასო ფონდი (არ უნდა აღემატებოდეს ჯამური ბიუჯეტის 30%);
 - ✓ სამგზავრო და სასტუმროს ხარჯი (საჭიროებისამებრ);
 - ✓ სხვა შესაძლო ხარჯი (უნდა იყოს იდენტიფიცირებული).
- კომისიის მიერ გამოვლენილ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე მოხდება წარმოდგენილი ბიუჯეტის დაზუსტება და საჭირო კორექტივების შეტანა.
- ბიუჯეტში არ უნდა შევიდეს მშენებლობასთან და არქიტექტურულ პროექტთან დაკავშირებული ხარჯები.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ:

- შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენამდე კონსულტაციებისთვის გაიმართება შეხვედრა კომისიის წევრებთან 2018 წლის 7 თებერვალს 11:00-12:00 საათზე და 9 თებერვალს 11:00-12:00 საათზე, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროში. დამატებითი ინფორმაცია განთავსდება ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ვებგვერზე www.book.gov.ge;
- გამოვლენილმა კომპანიამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს: ცენტრის კონტრაქტორ არქიტექტურულ კომპანია „მულტივერს არქიტექტურასთან“, ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრთან და პროექტის შემფასებელ კომისიასთან;
- კომპანიამ უნდა უზრუნველყოს შემდგომში პავილიონის კონცეფციის შესაბამისი განხორციელება, გარდა არქიტექტურული და სამშენებლო სამუშაოებისა;
- პავილიონის მშენებლობა განხორციელდება გერმანული, ლიცენზირებული კონსტრუქტორი კომპანიის მიერ კომპანია „მულტივერს არქიტექტურის“ და გამოვლენილი კომპანიის კოორდინაციით, კულტურის და სპორტის სამინისტროს და წიგნის ეროვნული ცენტრის კურატორობით.

წარმოდგენილი მასალები უნდა იყოს PDF ფორმატში.

2. შეფასების წესი

2.1 პროექტების შეფასება მოხდება ქულების მინიჭების პრინციპით:

- პროექტის ზოგადი კონცეფცია - მაქსიმუმ 40 ქულა
- პროექტზე მომუშავე გუნდის შემადგენლობა – მაქსიმუმ 50 ქულა
- პროექტის პირველადი ბიუჯეტი - მაქსიმუმ 10 ქულა

2.2 თანაბარი ქულების შემთხვევაში, კომპანიას, ხმათა უმრავლესობით, გამოავლენს კომისია.

2.3 იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატების წინადადებები არ დააკმაყოფილებს შერჩევის წესის მოთხოვნებს და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის სტანდარტებს, კომისია იტოვებს უფლებას არ გამოავლინოს კომპანია.

2.4 შემფასებელი კომისიის წევრები:

- მიხეილ გიორგაძე / საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი
- მედეა მეტრეველი / სსიპ „ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის“ დირექტორი
- ანა რიაზოშენკო / სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ დირექტორი
- ლაშა ბუღაძე / მწერალი
- გიორგი კეკელიძე / სსიპ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი
- ლაშა ბაქრაძე / სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი
- მარიამ კასრაძე / საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის გამგეობის თავჯდომარე, გამომცემელი
- გვანცა ჯობავა / საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის გამგეობის თავჯდომარის მოადგილე
- თინათინ მამულაშვილი / შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ დირექტორი
- თამარ ლუბანიძე / შპს „გამომცემლობა დიოგენეს“ დირექტორი
- დავით ლორთქიფანიძე / სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმის“ დირექტორი
- თეონა დოლენჯაშვილი / მწერალი
- ნინო მაჭარაშვილი / შპს „გამომცემლობა წიგნები ბათუმის“ დირექტორის მოადგილე

- პაატა შამუგია / მწერალი
- ვახტანგ მოსიაშვილი / მწერალი
- თინათინ ასათიანი / შპს „პალიტრა L“-ის დირექტორი
- რატი ამალღობელი / მწერალი
- რუსუდან მოსიძე / შპს „ბაკმის“ რედაქტორი
- ქეთევან კილურაძე / შპს „სიესტას“ დირექტორი

3. ანგარიშსწორების წესი

ანგარიშსწორება განხორციელდება შერჩეულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების მიხედვით (სახელშეკრულებო თანხა დაზუსტდება გამარჯვებული კომპანიის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის და გეგმა-გრაფიკის შესაბამისად).

4. დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ნათია ლურსმანაშვილი/ საერთაშორისო წიგნის ბაზრობების მენეჯერი
ელ.ფოსტა: lursmanashvili@book.gov.ge /ტელ.: +995 599 14 77 08